ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3065121

ნომერი: AR1471017

თარიღი : 16.01.2017

გაცემის თარიღი : 09.02.2017

გაცნობის თარიღი : 09.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N120 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გოჩა გეთიაშვილი პ/ნ 01011017300
- თბილისი ქ.ჩოლოყაშვილის ქ. I კვ. კორ. 1 ბ. 41

ორგანიზაცია:
- შპს "ისანი პლიუსი" კოდი: 206306255

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 ნოემბრის №2970500 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 16 იანვრის #AR1471017 განაცხადით მომართა გოჩა გეთიაშვილმა და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 2016 წლის 30 ნოემბრის №2970500 ბრძანებაში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 30 ნოემბრის №2970500 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი - ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N120, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი № 01.17.11.029.026), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. სამსახურის 2016 წლის 9 დეკემბრის № 2982114 ბრძანებით კი შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 08 დეკემბრიდან 2018 წლის 08 დეკემბრის ჩათვლით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 9 იანვრის №3011679 ბრძანებით, გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 ნოემბრის #2970500 ბრძანებაში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 9705.31 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 741.32 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1872.11 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 1370.19 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 881.60 კვ.მ., გამორჩენილ სარდაფის ფართობად - 359.72 კვ.მ. და გამორჩენილ კომერციულ ფართობად - 316.32 კვ.მ., საერთო ფართობად 15246.57 კვ.მ. და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 ნოემბრის #2970500 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2016 წლის 19 დეკემბრის #AR1464578 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით. ხსენებული ბრძანება განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 ნოემბრის #2970500 ბრძანებასთან ერთად.

განმცხადებლის მითითებით, გამორჩენილ იქნა ტექნიკური სართულის გეგმა, შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს 2016 წლის 30 ნოემბრის №2970500 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციაზე, 2017 წლის 16 იანვრის #AR1471017 განცხადებით წარმოდგენილი ტექნიკური სართულის გეგმის დართვას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური სართულის გეგმა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 ნოემბრის №2970500 ბრძანებაში და შეთანხმებულ დოკუმენტაციას დაემატოს #AR1471017 განცხადებით წარმოდგენილი ტექნიკური სართულის გეგმა.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 ნოემბრის №2970500 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.